ბარათაშვილის ხიდის ისტორიულ-არქიტექტურული მიმოხილვა

მუხრანის ხიდის პირველი პროექტი 1882 წელს შეიმუშავა უმანსკიმ, მაგრამ ის მეტად ძვირადღირებული სიამოვნება გახლდათ. კიდევ სხვა არქიტექტორების პროექტებიც იყო, მაგრამ ხან თანხები არ იყო გამოყოფილი, ხან პროექტი არ მოსწონდათ ქალაქის თავთ და საბოლოოდ ხიდი, პირველი პროექტის წარდგენიდან 30 წლის დაგვიანებით, უკრაინელი არქიტექტორის, ევგენი პატონის პროექტით აშენდა. პროექტში პატონმა ორიგინალური თაღოვანი კონსტრუქციები გამოიყენა. ხიდი ოფიციალურად 1911 წლის 24 აპრილს გაიხსნა. მის გახსნას ესწრებოდნენ მაშინდელი ქალაქის თავი, ალექსანდრე ხატისოვი და მეფისნაცვალი, გრაფი ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვი. ხიდი დიდი პომპეზურობით გაიხსნა. გაშლილი იყო სუფრა, თავად ხიდიკი, გირლიანდებით იყო მორთული. მოკლედ, დიდი ღონისძიება ჩატარდა. ხიდის აგების ხარჯები მთლიანად ქალაქის მთავრობის ბიუჯეტიდან გაიცა. ეს იყო უნიკალური ხიდი და ხატისოვს დიდი წვლილი მიუძღვის მის აგებაში.



ულამაზესი და საოცარი იყო ხიდი. შედუღების წესით აგებული პირველი ხიდი ამიერკავკასიასა და მთელ რუსეთის იმპერიაში. სავალი ნაწილის მოსაფენად ავსტრალიიდან სპეციალურად ევკალიფტის ძელაკებიც კი ჩამოიტანეს. ხიდი 1965 წლამდე ფუნქციონირებდა. ცნობილია, რომ, როდესაც მის დემონტაჟს იწყებდნენ, გოგლა ლეონიძე ცდილობდა მის გადარჩენას, ვისთან აღარ მივიდა, მაღალ ინსტანციებშიც დადიოდა, ითხოვდა ხიდი არ დაეშალათ და ახალი ხიდი მის გვერდით აეშენებინათ ან სადმე სხვაგან გადაეტანათ, მაგრამ, ამაოდ, ხიდი მაინც დაშალეს და რადგან ის მთლიანად ლითონისგან იყო შედუღებული, ნაჭერ-ნაჭერ დაჭრეს და სავარაუდოთ, გადააგდეს. ქართულმა კინომ შემოინახა მუხრანის ხიდი, ცნობილ ქართულ ფილმებში: „ჩვენი ეზო“, „ სხვისი შვილები“. ასევე შეიძლება შემორჩენილი იყოს იმდროინდელ ვიდეო-მასალაში, დოკუმენტურ ქრონიკებში.



დღევანდელი ხიდი კი, რომელიც უკვე ბარათაშვილის სახელით არის ცნობილი შედარებით გვიან, 1965 წელს აშენდა. ინჟინერი იყო გ.ქარცივაძე, არქიტექტორები შ.ყავლაშვილი და ვ.ქურთიშვილი. რადგან ძველი ხიდი სივიწროვის გამო ვეღარ აუდიოდა სატრანსპორტო საშუალებების გამტარიანობას. ბოლოს აგებული ხიდი

სამმალიანი, ორიარუსიანი და ორბურჯიანია. სიგრძე 160 მ-ია, სიგანე-26 მეტრი. ზედა იარუსზე ტრანსპორტისა და ფეხით მოსიარულეთათვის განკუთვნილია ორმხრივი მოძრაობა, არის ლამპიონებით განათებული. 2006 წელს ხიდზე მოქანდაკე-გია ჯაფარიძის სკულპტურული კომპოზიცია-„პაემანი“ დაიდგა. ხიდის ქვედა იარუსზე ფეხით მოსიარულეთათვის ტროტუარებია მოწყობილი, რომელთა შორის განლაგებული იყო კაფე, საგამოფენო დარბაზი, კლუბი და სხვა საზოგადოებრივი დანიშნულების ფართები. გაიხსნა ახალგაზრდობის ცენტრი, რომელიც გახლდათ მათი შეკრებების ადგილი. ის ემსახურებოდა ახალგაზრდების ნიჭის გამოვლენას მრავალი კუთხით. იმართებოდა შემოქმედებითი საღამოები და კონცერტები



როგორც ცოტა ხნის წინ ქალაქის მერმა ბ-მა დავით ნარმანიამ ბრძანა,- „ ხიდს აბსოლუტურად სრული რეაბილიტაცია უტარდება, რაც ნიშნავს იმას, რომ მისი ექსპლოატაციის ვადა მნიშვნელოვნად იზრდება. ხიდის რეაბილიტაცია უნდა მოხდეს ძველ ისტორიულ ნაწილთან შესაბამისობაში



ბუნებრივია უნდა გარემონტდეს და განახლდეს ხიდის ქვეშ არსებული ფართები, მათ შორის კლუბი. მან უნდა დააკმაყოფილოს თანამედროვე მოთხოვნები და ნორმები კლუბი უნდა იყოს ყველა ასაკის ადამიანზე გათვლილი. ასევე ტურისტებისთვის მიმზიდველი.

არქიტექტორ გიორგი ბარათაშვილის მიერ წარმოდგენილი განახლებული პროექტი ფასადისა: ,, NIGHT-OFFISE club " (ღამის კლუბი) შესრულებულია ბეტონის, ალუმინის და მინის მასალაში, რაც ვფიქრობ თავისი იერსახით შესაბიმისობაშია ხიდის და გარემოს არქიტექტურასთან .